განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

საერთაშორისო ურთიერთობები

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი
07.04.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი
25.05.2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204426834
დაწესებულების სახე	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი 0312
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ფავლენიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, პოლიტიკის ასოცირებული პროფესორი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ივანნა მაჩიტიძე, შავი ზღვის უნივერსიტეტი, საერთაშორისო

	ურთიერთობების ასოცირებული პროფესორი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გია თოდუა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის (უსდ) საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამამ პირველად აკრედიტაცია მიიღო 2015 წელს. პროგრამის მიზანია, მისი კურსდამთავრებულები ფლობდნენ, როგორც, თეორიულ ცოდნას, ისე პრაქტიკულ გამოცდილებას საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს სხვადასხვა მიმართულებებში; გამოუმუშავდეთ კვლევითი უნარ-ჩვევები ჯერ საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისას და, შემდგომ, პროფესიული საქმიანობის ეფექტიანი შესრულებისათვის.

ინფორმაცია პროგრამაზე და საუნივერსიტეტო სიახლეებზე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმირი მსურველისათვის. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა კარიერული განვითარების სამსახური, რომელიც ეხმარება სტუდენტებს დასაქმებაში.

პროგრამა მოიცავს საუნივერსიტეტო სავალდებულო და არჩევით, საერთაშორისო ურთიერთობების სავალდებულო და არჩევით და არაძირითად არჩევით სასწავლო კურსებს; აღნიშნულ კურსებთნ ერთად, შეთავაზებულია თავისუფალი კრედიტების კომპონენტი და უცხო ენების კურსები. გარდა, საუნივერსიტეტო და საერთაშორისო ურთიერთობების სავალდებულო და არჩევითი კურსებისა, სტიდენტებს შეუძლიათ, აირჩიონ კურსები სხვა პროგრამებიდანაც: თეოლოგია, ტურიზმი და მენეჯმენტი.

პროგრამის მიმდინარეობისას, მასში განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები, რომელიც დაეფუძნა შრომის ბაზრის ანალიზსა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მიმდინარე მოვლენებს იმ მიზნით, რომ პროგრამამ უპასუხოს თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს.

პროგრამის განვითარებაში ჩართულნი არიან, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტთან აფილირებული აკადემიური პერსონალი, ისე მოწვეული ლექტორები.

უსდ ორიენტირებულია ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაძლიერებაზე, რაზეც მეტყველებს საერთაშორისო პარტნიორებთან გაფორმებული

მემორანდუმები. ადმინისტრაცია ცდილობს, გააფართოოს ურთიერთკავშირები ადგილობრივ სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომ ხელი შეუწყოს სტუდენტთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას სტაჟირებების მეშვეობით.

ხდება სასწავლო პროცესის დახვეწა სტუდენტების ინტერესების დასაკმაყოფილებლად და აკადემიური მოსწრების ასამაღლებლად. ინფრასტრუქტურა (ბიბლიოთეკა, აუდიტორები, კომპიუტერული ლაბორატორია და სხვა) სრულფასოვნადაა გამართული. ფუნქციონირებს შიდასაუნივერსიტეტო ელექტრონული პლატფორმა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტამდე შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის (თავმჯდომარე - ნინო ფავლენიშვილი; წევრი - ივანნა მაჩიტიძე; სტუდენტ-ექსპერტი - გია თოდუა) ზუმ-შეხვედრა; შეხვედრის მიმდინარეობისას მოხდა ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილება და ინტერვიუ(ები)ს კითხვარის დაზუსტება აკრედატაციის სტანდარტების შესატყვისად.

თავად ვიზიტი (ონლაინ რეჟიმში ზუმ-პროგრამით), რომელიც დაგეგმა უსდ-ს ადმინისტრაციამ, დაიწყო 10:00-ზე (07.04.2020).

დღის წესრიგით გაწერილი იყო ინტერვიუები შემდეგ ჯგუფებთან:

- უნივერსიტეტის ადმინისტრაცია,
- თვითშეფასების ჯგუფი,
- პროგრამის ხელმძღვანელი,
- აკადემიური პერსონალი,
- მოწვეული პედაგოგები,
- პროგრამის სტუდენტები,
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური,
- დამსაქმებლები.

შემოწმდა ბიბლიოთეკაში საჭირო რესურსის არსებობა.

გასაუბრებები მიმდინარეობდა მშვიდ ატმოსფეროში; კომისია მიყვებოდა აკრედიტაციის სტანდარტს კითხვების დასმის პროცესში, რათა მიეღო სრული ინფორმაცია უსდ-ს სტანდარტების შესაბამისად ფუნქციონირებაზე. კომისიის წევრები უსდ-ს თანამშრომლებთან ურთიერთობისას იყვნენ კონსტრუქციულნი, რათა ინტერაქციის შედეგი ყოფილიყო მაქსიმალურად ეფექტიანი.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ექსპერტთა ჯგუფი მივიდა შემდეგ დასკვნამდე:

- პირველის სტანდარტის, „საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა“, ორივე კომპონენტი, 1.1 და 1.2, *შესაბამისობაშია* სტანდარტის მოთხოვნებთან;
- მეორე სტანდარტის, „სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა“, შემდეგი კომპონენტები, 2.1, 2.4, 2.5, 2.6, *შესაბამისობაშია* სტანდარტთან; ხოლო 2.2 და 2.3 კომპონენტი *მეტწილად შესაბამისობაშია* სტანდარტის მოთხოვნებთან;
- მესამე სტანდარტის, „სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა“, 3.1 კომპონენტი *შესაბამისობაშია* მოთხოვნებთან; 3.2 არ შეფასდა - პროგრამა საბაკალავროა;
- მეოთხე სტანდარტის, „სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა“, კომპონენტები, 4.1 შეფასდა, როგორც *მეტწილად შესაბამისობაში* მყოფი; ხოლო 4.2, 4.3 და 4.4 - *შესაბმისობაში* სტანდარტთან;
- მეხუთე სტანდარტის, „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები“, სამივე კომპონენტი, 3.1, 3.2, 3.3, *შესაბამისობაშია* მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

სააკრედიტაციო ჯგუფმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

- გადაიხედოს და დაზუსტდეს საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის სტრუქტურა; შესაბამისობაში მოვიდეს თვითშეფასების ანგარიშის სხვადასხვა ნაწილში წარმოდგენილ ინფორმაციასთან;
- დაზუსტდეს არაძირითადი მიმართულების არჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტი, საუნივერსიტეტო არჩევითი კომპონენტი და შესაბამისი სტატუსით აისახოს პროგრამის სტრუქტურის აღწერაში; კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის ტექსტსა (სწავლების ორგანიზების თავისებურებები) და თვითშეფასებაში;

- გადაიხედოს და დაზუსტდეს „პოლიტიკური თეორიების“, „საქმიანი კომუნიკაციის“, „საერთაშორისო ორგანიზაციების და ინსტიტუტების“, „რუსეთის საგარეო პოლიტიკის“ სასწავლო კურსების შინაარსი;
- შეიცვალოს არჩევითი სასწავლო კურსის, „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები პოსტ-სოციალისტურ სამყაროში“, სათაური და დაერქვას „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები პოსტ-კომუნისტურ სამყაროში“; საჭიროა ქეისების გადახედვა;
- აუცილებელია ჩატარდეს სამუშაო საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორების მოსაზიდად.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სააკრედიტაციო ჯგუფი იძლევა შემდეგ რჩევებს:

- შევიდეს ცვლილება პროგრამის წინაპირობებში (უნარების გამოცდა გაუქმებულია) და დაკონკრეტდეს, რომელი საგნების ჩაბარება მოეთხოვება აბიტურიენტს, რომელიც აისახება უდს-ს ვებ-გვერდზე (ინფორმაციის გამჭვირვალობისა და იოლი ხელმისაწვდომოისათხწვის);
- პროგრამის პოპულარიზაციის სტრატეგიების დივერსიფიკაცია პროგრამის ცნობადობის გაზრდის მიზნით, რაც გაიზარდოს სტუდენტთა რიცხვსაც;
- გადაიხედოს „თანამედროვე დიპლომატია: თეორიისა და პრაქტიკის“ სასწავლო კურსის შინაარსი; ან შეიცვალოს სახელწოდება და დაერქვას „დიპლომატიის ისტორია და ევოლუცია“;
- დაემატოს სავალდებულო საგნად „ეკონომიკის საფუძვლები“ ან უკვე არსებული „ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლები“ (ნაცვლად კურსისა- შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში“, სადაც საერთოდ არ განიხილება ეკონომიკის საკითხები), რომელიც გახდება „საერთაშორისო ეკონომიკის“ კურსის წინაპირობა;
- სასურველია, გააქტიურდეს კონკრეტულად საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის სტუდენტების ჩართულობა იმ ორგანიზაციების საქმიანობაში, ვისთანაც უნივერსიტეტს დადებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები ძირითადი მიმართულებით (საერთაშორისო ურთიერთობი) სტუდენტების პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარება/გაძლიერების მიზნით (ფაკულტეტი უფრო მჭიდროდ თანამშრომლობს);
- აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის დამატებითი ტრენინგები სწავლების მეთოდოლოგიებსა/მიდგომებში, რათა ზოგიერთმა სასწავლო

კურსმა შეძლოს, სხვადასხვა მეთოდების ინტეგრირებით სტუდენტთა დაინტერესების გაზრდა და სწავლის ხარისხის ამაღლება:

- მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე ფაქტობრივად არ აღინიშნება აპელაციის შემთხვევები, სასურველია, მოხდეს სტუდენტთა ინფორმირებულობის მექანიზმების გააქტიურება. სტუდენტებმა კარგად უნდა იცოდნენ საკუთარი უფლებები და მოვალეობები (მაგ. აპელაციის პროცედურა);
- სტუდენტთა ინფორმირებულობის გაზრდას ხელს შეუწყობს აკადემიური წლის დასაწყისში საორიენტაციო კვირის ან დღეების ჩატარება, როცა მათ გააცნობენ უნივერსიტეტს (ინფრასტრუქტურა); სწავლების მეთოდებს; მათ უფლება-მოვალეობებს და ა.შ.;
- პროგრამა წარმოდგენილია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ (№69/ნ ბრძანება, 10.04.2019); მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაში და თითშეფასებაში გამოყენებული ტერმინოლოგია იყოს კანონმდებლობასთან შესაბამისი;
- სასურველია, თვითშეფასების დოკუმენტში მკაფიოდ ჩანდეს კონკრეტულად რამდენი სტუდენტია კურსზე, რომ ბიუჯეტის დოკუმენტში მოცემულ ციფრებთან შედარება გაიოლდეს.
- სასურველია, გამარტივდეს ახალი საგნის გახსნის პროცედურა; კონკრეტულად, დაიწიოს დაბლა კურსის გახსნის მსურველ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის ზღვარმა;
- ელექტრონული პლატფორმის აქტიურად გამოყენება საგნების დისტანციურად არჩევისა და რეგისტრაციისათვის სტუდენტის სურვილის მიხედვით;
- ხელის შეწყობა საერთშორისო ურთიერთობების მიმართულებით სტაჟირებებისათვის;
- კურსების ლექტორებზე დაბალანსებული გადანაწილება;
- სტატიების გამოქვეყნება საერთაშორისო აკადემიურ გამომცემლობებში;
- აკრედიტაციის (თვითშეფასების) ჯგუფის გუნდური მუშაობის გაძლიერება და სამუშაოს დაბალანსებული გადანაწილება ჯგუფის წევრებზე;
- მეტი უცხოელი ექპერტის ჩართვა პროგრამის გარე შეფასების პროცესში (დარგის სპეციალისტები; სხვადასხვა უნივერსიტეებიდან);
- საკითხავი მასალის დუბლირების აღმოფხვრა სხვადასხვა კურსში;
- თვითშეფასების დოკუმენტში გაპარული უზუსტობების გასწორება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

ვიზიტის პროცესში გამოიკვეთა საუკეთესო პრაქტიკის შემდეგი ფორმები:

- ზრუნვა სასწავლო გარემოს გაუმჯობესებაზე;
- აკადემიური მოსწრების სემესტრული მონიტორინგი და სამოქმედო გეგმის ამოქმედება საჭიროების შემთხვევაში;
- ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება;
- პერსონალის თვითშეფასების ანგარიში;
- საერთაშორისო და ადგილობრივი კონფერენციების ჩატარება;
- საერთშორისო ურთიერთობების მიმართულების საკუთარი ჟურნალი (Journal of Post Soviet Studies);
- ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია:
    - პარტნიორთა ქსელის გაფართოება;
    - ფართო საერთაშორისო და ადგილობრივი კავშირები, რაც ხელს უწყობს, როგორც სტუდენტის უნარ-ჩვევების განვითარებას, ასევე იძლევა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის გამოცდილების გაზიარების საშუალებას.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

o მოხდა ბიბლიოთეკის გამდიდრება საერთაშორისო ურთიერთობების მიმარულების თანამედროვე ლიტერატურით, როგორც უცხოენოვანის (ძირითადად, ინგლისური), ისე ქართულ ენაზე გამოცემული აკადემიური მასალით;

o პროგრამას დაემატა საერთაშორისო ურთიერთობების რამდენიმე საგანი, მეთოდოლოგიისა და ინგლისური ენის რამდენიმე საფეხურიანი კურსები;

o გადაიხედა სილაბუსები და აღმოიფხვრა მათში დუბლირებელი თემები;

o პროგრამა შედარდა ადგილობრივი და დასავლური უნივერიტეტების ანალოგიურ პროგრამებს;

o პროგრამის გარე შეფასება/ანალიზება გააკეთა უცხოელმა პროფესორმა;

o დაიხვეწა და ეფექტიანი გახდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრები, რომელნიც გაართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობებს, როგორც საჯარო (საგარეო საქმეთა სამინისტრო, დიპლომატიური უწყებები და ა.შ.), ისე კერძო და სამოქალაქო სფეროში. ამავდროულად, უსდ-ს კურსდამთავრებულები შეძლებენ, შეიტანონ წვლილი განათლებული საზოგადოების ჩამოყალიბებასა და სახელმწიფოს სამომავლო განვითარებაში. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მიზანია პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული ფლობდეს საერთაშორისო ურთიერთობების საკვანძო კონცეფციებსა და თეორიებს; ერკვეოდეს საერთაშორისო ინსტიტუტების სტრუქტურაში, საერთაშორისო ორგანიზაციების მიზნებსა და ინტერესებში; შესწევდეს უნარი შეაფასოს და გაანალიზოს მიმდინარე პოლიტიკური პროცესები; გაავლოს პარალელები მიმინარე და წარსულ მოვლენებთან; მან უნდა შეძლოს საჭირო ინფორმაციის მოგროვება, კატეგორიზირება და შეფასება. სტუდენტს პროგრამის მიმდინარეობისას უნდა, განუვითარდეს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი პრინციპების კრიტიკულად გაანალიზირების უნარი. საბაკალავრო ნაშრომის შესრულების პროცესში, სტუდენტს უწევს კვლევის ჩატარება სამეცნიერო ხელმძღვანელის ზედამხედველობით. პროცესში მას გამოუმუშავდება საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემის გამოკვეთის, ანალიზისა და მონაცემების დამუშავების ჩვევები.

პროგრამა ითვალისწინებს შრომის ბაზრის კვლევებს, რადგან საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მიზანია, მისი კურსდამთავრებული ფლობდეს შრომის ბაზარის მოთხოვნების შესაბამის ცოდნასა და კომპეტენციებს.

უსდ ორიენტირებულია შექმნას მაქსიმალურად კომფორტული პირობები სტუდენტებისათვის, რომელნიც მზად იქნებიან, პროგრამის დასრულების შემდეგ, დააკმაყოფილონ შრომის ბაზრის მოთხოვნები. შესაბამისად, უნივერსიტეტის მიზანია, მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრი, რომელიც გაართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობებს, როგორც საჯარო (საგარეო საქმეთა სამინისტრო, დიპლომატიური უწყებები და ა.შ.), ისე კერძო და სამოქალაქო სფეროში. ამავდროულად, უსდ-ს კურსდამთავრებულები შეძლებენ, შეიტანონ წვლილი განათლებული საზოგადოების ჩამოყალიბებასა და სახელმწიფოს სამომავლო განვითარებაში.

ფართო საერთაშორისო კავშირები (მემორანდუმები უცხოელ პარტნიორებთან) საშუალებას მისცემს უსდ-ს, განავითაროს სტუდენტთა მიერ უცხოური გამოცდელების შეძენის მექანიზმები; ამავდროულად, პარტნიორთა ქსელის გაფართოება ქვეყნის შიგნით ხელს შეუწყობს სტუდენტთა პროფილურ სტაჟირებებს, რითაც აკადემიური/თეორიული კომპონენტი გაძლიერდება პრაქტიკული კომპონენტითაც. საერთაშორისო კავშირები საშულებას მისცემს აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, გაიმდიდროს გამოცდილება და აიმაღლოს კვალიფიკაცია. ამასთან აღნიშნული კავშირები სხვადახვა ღონისძიებებში მონაწილეობის კარგ საშუალებას იძლევა. ამის დასტურია სტუდენტთა მონაწილეობა ბაქოს საერთაშორისო კონფერენციაში; ერთი სტუდენტის ერთსემესტრიანი ვიზიტი სტეფან ვიშინსკის უნივერსიტეტში; აკადემიური პერსონალის ჩართულობა Erasmus+ +KA2 STAR და სხვა საერთაშორისო პროექტებში.

პირველი აკრედიტირების შემდეგ, პროგრამა ვითარდება, განიცდის ცვლილებებს მორგებულს შრომის ბაზრის ანალიზსა და საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების გამოწვევებზე. პროგრამას დაემატა კურსები, რომლებიც ფოკუსირებულია საერთაშორისო არენაზე ძირითადი მოთმაშეების ინტერესებსა და გავლენებზე; მათ ჩართულობაზე სხვადასხვა ტიპის მოვლენებში; წამყვანი აქტორების საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელ პრიორიტეტებზე. მაგ. „ჩრდილოატლანტიკური ალიანსი და მისი როლი საეთაშარისო უსაფრთხოების ფორმირებაში“, „საგარეო პოლიტიკის ანალიზი“, „საქართველოს საგარეო პოლიტიკა“. საქართველოსა და ევროკავშირის დაახლოებამ აქტუალური გახადა აღნიშნული ორგანიზაცია, მისი ინსტიტუციური მოწყობა და თვალსაჩინო გახდა ევროკავშირის საქართველოსთან ურთიერთობის დინამიკისა და ფორმების შესწავლის აუცილებლობა. შესაბამისად, პროგრამა გამდიდრდა „ევროკავშირი-

საქართველოს ურთიერთობების საფუძვლებისა“ და „ევროკავშირის სამართლის“ კურსებით. საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, მოხდა პროგრამის შედარება ქართული უნივერსიტეტებისა (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თავისუფალი უნივერსიტეტი) და უცხოეთის (კოლუმბიის, ბოსტონის, კენტის, ლონდონის მეტროპოლიტანის, ნოტინგემის და სხვა) უსდ-ების ანალოგიურ პროგრამასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების დოკუმენტი; o საბაკალავრო პროგრამის აღწერა; o სასწავლო კურსების სილაბუსები; o ინტერვიუები თვითშეფასების ჯგუფთან, ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან; ხარისხის სამსახურთან; პროგრამის ხელმძღვანელთან.
რეკომენდაციები: o
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o ფართო საერთაშორისო და ადგილობრივი კავშირები, რაც ხელს უწყობს, როგორც სტუდენტის უნარ-ჩვევების განვითარებას, ასევე იძლევა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის გამოცდილების გაზიარების საშუალებას.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- o პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- o პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- o შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები თანხმობაშია პროგრამის მიზნებთან. პროგრამის სასწავლო კომპონენტის კურსები, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, იყენებს სწავლების მრავალგვარ მეთოდს. შესაბამისად, სწავლის პროცესში სტუდენტი დეტალურად ეცნობა საერთაშორისო ურთიერთობების სისტემისა და სტრუქტურის ძირითად თავისებურებებს; ითვისებს საერთაშორისო ურთიერთობების, პოლიტიკისა და სხვა თეორიებს დაკავშირებულს ძირითად მიმართულებასთან. თეორიული ცოდნის გარდა, პროგრამა ამახვილებს ყურადღებას პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე; როგორიცაა, საერთაშორისო ურთიერთობის პროექტებისა და დოკუმენტების მომზადება/განხორციელება ან პროცესში მონაწილეობა, ინდივიდუალური თუ გუნდური მუშაობა, კვლევითი/პრაქტიკული პროექტების იმპლემენტაცია მიცემული ინსტრუქციების შესაბამისად. სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გასავითარებლად, პროგრამას დაემატა შემდეგი კურსები: „სოციალური კვლევის მეთოდები“, „ფორმალური დებატები“, „მოლაპარაკების ხელოვნება“, „საქმიანი კომუნიკაცია“ (ინგლისურ ენაზე). პროგრამა აგებულია იმგვარად, რომ სწავლის პროცესში სტუდენტმა შეძლოს სასწავლო თუ კვლევითი გამოწვევის აღქმა და მისი გადაჭრის საშუალებების მოძებნა; კვლევის ან დავალებისათვის საჭირო ინფორმაციისა და მასალის მოპოვება; პერიოდულად

მიღებული რეფლექსიის შედეგად, მას უვითარდება შეფასების, ანალიზისა და თვითკრიტიკის უნარი.

უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალვრო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს ექნება დარგისთვის აუცილებელ ცოდნა და უნარები, რაც საშუალებას მისცემს მას, თავი გაართვას დაკისრებულ ამოცანას დამოუკიდებლად; ამადროულად, მას შეეძლება, იმუშაოს გუნდთან ერთად. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოცემულ საფეხურს; შესაბამისად, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდგომ, კურსდამთავრებულს მიენიჭება საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის კვალიფიკაცია.

სტუდენტთა სწავლის შედეგების შესაფასებლად, უნივერსიტეტი იყენებს შემდეგ მექანიზმებს: აკადემიური მოსწრების ანალიზი; გამოკითხვა წინასწარშედგენილი კითხვარით; სტატისტიკური მასალის დაგროვება უნივერსიტეტში არსებული სასწავლო ელ-სისტემით, მისი დამუშავება და ანალიზი.

უნივერსიტეტის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის პროცესი მიმდინარეობს დეტალურად გაწერილი მეთოდით, ინსტრუმენტით და სამიზნე რუბრიკით. კონკრეტულად, საერთაშორისო ურთიერთობის პროგრამა სწავლის თითოეული შედეგისთვის ადგენს სამიზნე ნიშნულს სწავლის შედეგის გასაუმჯობესებლად. დამატებით დაინერგა ხარისხის უზრუნველყოფის ახალი მექანიზმი - სემესტრში ერთხელ ტარდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, რომლის შედეგები ეგზავნება დეკანს. შედეგებზე მსჯელობს აკადემიური საბჭო ახალი სემესტრის დაწყებამდე და შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას პრობლემის არსებობის შემთხვევაში მის აღმოსაფხვრელად. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის ფარგლებში, გაზაფხულის სემესტრის დასრულების შემდეგ, ხარისხის უზრუნველყოფის მართვის სამსახური აგროვებს შედეგების შესახებ მიღებულ ინფორმაციას და გასცემს რეკომენდაციებს. რის საფუძველზეც ხდება პროგრამის მოდიფიცირება. პროგრამის სწავლის შედეგები არის მიღწევადი, გაზომვადი და რეალისტური.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო პროგრამის აღწერა;
- კურსების სილაბუსები;

o ინტერვიუები ხარისხის სამსახურთან, დეკანთან, ლექტორებთან, სტუდენტებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): o აკადემიური მოსწრების სემესტრული მონიტორინგი და სამოქმედო გეგმის ამოქმედება საჭიროების შემთხვევაში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი; თუმცა, წელს უნივერსიტეტში მიღების წესები შეიცვალა, რადგან განათლების სამინისტრომ გააუქმა საერთო ეროვნული გამოცდა. ამიტომ მნიშვნელოვანია, დაკონკრეტდეს უსდ-ში მიღების წინაპირობები. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში. პროგრამის მოთხოვნაა ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენად ინგლისური ენის ჩაბარება. აღნიშნული მოთხოვნა განაპირობებს პროგრამაზე მიღებული კონტინგენტის

მზადყოფნას აითვისოს პროგრამის შინაარსი სრულფასოვნად და გააგრძელოს ინგლისური ენის ცოდნის გაღრმავება შეთავაზებული ინგლისურენოვანი სასწავლო კურსებით. უნივერსიტეტის ფარგლებში პროგრამაზე მობილობა შესაძლებელია, განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში 2-ჯერ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ვადაში კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად. სულხან საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ პროგრამებზე მისაღები პირობების შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე *www.sabauni.edu.ge* ქართულად და ინგლისურად. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის დებულების მიხედვით (პუნქტი 4.1), უნივერსიტეტი ახორციელებს აბიტურიენტის/სტუდენტის პერსონალური მონაცემების დამუშავებას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიუების დროს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს სტუდენტების კონტინგენტის ზრდის ნაკლებ პრიორიტეტულობას. თუმცა, თვითშეფასების ანგარიშში ასახული ყოველწლიური ქვოტები მზარდია, 5-7-ჯერ აღემატება სტუდენტთა ჩარიცხვის ყოველწლიურ მაჩვენებელს. სტუდენტების მოზიდვის მიზნით, უნივერსიტეტის ორგანიზებით ტარდება ღონისძიება სახელით მოსწავლეთა აკადემია, სადაც აბიტურიენტებს აქვთ შესაძლებლობა, გაეცნონ სასწავლო პროცესის თავისებურებებს მათთვის საინტერესო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში. სტუდენტთა კონტინგენტის მოზიდვისათვის და აღნიშნულ საბაკალავრო პროგრამაზე მიღების მაჩვენებლის გასაზარდელად, უნივერსიტეტს სჭირდება დამატებითი აქტივობების ორგანიზება - უსდ-ს ცნობადობის/პოპულარიზაციის ზრდის სტრატეგიების გამრავალფეროვნება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის დებულება (დანართი # 1); o საერთაშორისო უერთიერთობების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა; o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (ქართულენოვანი/ინგლისურენოვანი ვერსია).
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- შევიდეს ცვლილება პროგრამის წინაპირობებში (უნარების გამოცდა გაუქმებულია) - დაკონკრეტდეს, რომელი საგნების ჩაბარება მოეთხოვება აბიტურიენტს;
- პროგრამის პოპულარიზაციის სტრატეგიების გამრავალფეროვნება პროგრამის ცნობადობის გაზრდის მიზნით, რათა გაიზარდოს სტუდენტთა რაოდენობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

არ აღინიშნება

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ აღინიშნება

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგიასა და მისი დამტკიცების წესშია აღწერილი, საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა აგებულია ძირითადი სწავლის სფეროს (არანაკლებ 120 კრედიტი) და დამატებითი მიმართულებების (60 კრედიტი) კომბინირებით:

ა) ძირითადი სწავლის სფერო და თავისუფალი კომპონენტები;

ბ) ძირითადი სწავლის სფერო (საერთაშორისო ურთიერთობა), დამატებითი კურსი და თავისუფალი კომპონენტები;

გ) ძირითადი სწავლის სფეროს და ორი დამატებითი კურსი.

წარმოდგენილი პროგრამის შინაარსის მიხედვით, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსებისგან (18 ECTS), ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტისგან (136 ECTS). მათ შორის, 126 ECTS, ენიჭება სავალდებულო სასწავლო კურსებს; ხოლო 12 ECTS - საერთაშორისო ურთიერთობების არჩევით სასწავლო კურსებს. ზემოთ აღნიშნული კომპონენტების გარდა, სტუდენტს საშუალება ეძლევა, დანარჩენი 60 ECTS დააგროვოს შემდეგნაირად:

სტუდენტს შეუძლია, აირჩიოს კურსები

1) სასწავლო უნივერსიტეტის ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამ(ებ)იდან;
2) საერთაშორისო ურთიერთობების არჩევითი სასწავლო კურსებიდან;
3) ერთ-ერთი დამატებითი სწავლის სფეროებიდან: თეოლოგია, ტურიზმი და მენეჯმენტი (60 კრედიტი).

აღნიშნული პროგრამის წყობა უზრუნველყოფს სწავლის პროცესის მრავალფეროვნებასა და სტუდენტის დარგისადმი ინტერესის განვითარებას. მობილობის შემთხვევაში ხდება გავლილი (შესაბამისი) სასწავლო კურსების კრედიტების აღიარება.

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი კომპეტენციები ყალიბდება პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა კომპონენტის სინთეზის საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ ინგლისური ენის კომპონენტი შედგება 24 კრედიტისგან და მოიცავს შემდეგ საფეხურებს - A1, A2, B1.1, B1.2, B2.1, B2.2. ყველა სტუდენტისთვის სავალდებულოა ინგლისური ენის კომპონენტის დასრულება B2 დონით. ინგლისური ენის დონის შემოწმება დგინდება ინგლისური ენის ტესტით, რომელიც ტარდება სტუდენტის ჩარიცხვისთანავე. შემდგომ სტუდენტი აგრძელებს

ინგლისური ენის შესწავლას ცოდნის შესაბამისი საფეხურიდან. საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამაში დეტალურადაა გაწერილი ტესტში მიღებული ქულების განაწილება ცოდნის დონის მიხედვით და დარჩენილი კრედიტების დაგროვების ტექნიკა. მაგალითად, თუ სტუდენტი სწავლობს ინგლისურ ენას A1 საფეხურიდან, დარჩენილ 12 კრედიტს ის აგროვებს არჩევითი საგნების ხარჯზე.

პროგრამის სილაბუსებში და პროგრამის ტექსტში აღნიშნულია სხვა უცხო ენების სწავლების შესაძლებლობა საუნივერსიტეტო არასაერთაშორისო ურთიერთობის არჩევითი კურსების კომპონენტის ფარგლებში. პროგრამის სტრუქტურის აღწერაში შესაბამისი ინფორმაცია მოცემული არ არის (საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამა, გვ.5); სამაგიეროდ მეორე უცხო ენის სასწავლო კურსები წარმოდგენილია პროგრამის სასწავლო კურსების რუკის სახით.

თვითშეფასების ანგარიშიდან, პროგრამის აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, ასევე პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუების შედეგად, გამოიკვეთა თანმიმდევრული და სათანადოდ დაგეგმილი სამუშაო პროცესი პროგრამის შინაარსზე, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით და თვითშეფასების ჯგუფის შეხვედრების ოქმებით.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის გასაუმჯობესებლად, განხორციელდა მისი შედარება მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით. ამასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან საუბრისას გამოიკვეთა შემდეგი სურათი - ნაკლები აქცენტი კეთდება საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის კონცეპტუალური წყობის გაუმჯობესებაზე; საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების შედეგი, ძირითადად, არის ცალკეული სასწავლო კურსების დამატება/ამოღება.

დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად, პროგრამის სტრუქტურის აღწერაში შეიმჩნა შემდეგი უზუსტობები:

1) თვითშეფასების ანგარიშის ტექსტის სხვადასხვა ნაწილში, სახელდობრ, პროგრამის აღწერაში და სტანდარტ 2.2-ში მოცემულია განსხვავებული ინფორმაცია საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის სტრუქტურასა და ცალკეული კომპონენტების მოცულობის შესახებ სწავლის ძირითადი და არჩევითი სფეროებიდან. მაგალითად, თვითშეფასების ანგარიშში, სტანდარტი 2.2-ის აღწერისას, საერთაშორისო ურთიერთობის სავალდებულო სწავლის სფეროს მოცულობად გაწერილია 120 კრედიტი; მაშინ, როცა პროგრამის აღწერისას ეს მოცულობა 126 კრედიტია. ამავე დროს, თვითშეფასების ანგარიშში პროგრამის მოკლე მიმოხილვაში (გვ.7) მითითებულია, რომ პროგრამის 168 კრედიტი სავალდებულო სწავლის სფეროს ეკუთვნის, ხოლო 6 კრედიტი არჩევითია. 66 კრედიტიდან

სტუდენტს შეუძლია აირჩიოს 60 კრედიტის კურსები საუნივერსიტეტო პროგრამებიდან: თეოლოგია, ტურიზმი, მენჯმენტი; ხოლო 6 კი - უნივერსიტეტის ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამიდან. 2) პროგრამის სილაბუსების ჩამონათვალში ცალკე კომპონენტადაა გამოყოფილი საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსების სილაბუსები. ამავე დროს, სწავლის ეს სფერო და მისი მოცულობა არ მოიპოვება პროგრამის სტრუქტურის აღწერით ნაწილში (გვ.5); 3) თვითშეფასების დოკუმენტში ცვლილებების აღწერისას, მითითებულია „რუსეთის საგარეო პოლიტიკის“ სასწავლო კურსის პროგრამიდან ამოღება. თუმცა, ის კვლავ არის წარდგენილი პროგრამის საერთაშორისო ურთიერთობის არჩევითი სასწავლო კურსებში. რაც დადასტურდა მოწვეულ ლექტორთან ინტერვიუს დროს. 4) პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლაზე. შესაბამისად, სასურველია, ძირითადი მიმართულების სავალდებულო კურსების კომპონენტს დაემატოს ევროინტეგრაციის სფეროს სიღრმისეული სასწავლო კურსები; 5) თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამას დაემატა „სოციოლოგიის საფუძვლების“ სასწავლო კურსი, მაგრამ პროგრამის ტექსტში და სილაბუსების ჩამონათვალში ეს საგანი არ ჩანს; 6) სასწავლო კურსი, „საერთაშორისო უსაფრთხოება: თეორია და პრაქტიკა“, რომელიც, თვითშეფასების მიხედვით, არის საერთაშორისო ურთიერთობების სავალდებულო კურსი, პროგრამის აღწერაში ის განთავსებულია საერთაშორისო ურთიერთობების არჩევითი სწავლის სფეროს ჩამონათვალში; 7) საერთაშორისო ურთიერთობის არჩევითი სასწავლო კურსი „პოლიტიკური ეკონომია“ (ალბათ, ეკონომიკა; ასე ასათაურებს საგანს ლექტორიც სილაბუსში), რომელსაც თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, შეეცვალა სტატუსი (გახდა არჩევითი); იძებნება პროგრამის აღწერაში ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალში; სილაბუსშიც ლექტორს კურსის სტატუსად მითითებული აქვს *სავალდებულო).*
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამა; ● საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში (სტანდარტი 2.2., საგანმანათლებლო პროგრამის მოკლე მიმოხილვა);

- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, ლექტორებთან;
- თვითშეფასების ჯგუფის სხდომების ოქმები.

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს და დაზუსტდეს საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის სტრუქტურა; შესაბამისობაში მოვიდეს თვისთშეფასების ანგარიშის სხვადასხვა ნაწილში მოცემულ ინფორმაციასთან;
- დაზუსტდეს არაძირითადი მიმართულების არჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტი, საუნივერსიტეტო არჩევითი კომპონენტი და შესაბამისი სტატუსით აისახოს პროგრამის სტრუქტურის აღწერაში; კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის ტექსტში (სწავლების ორგანიზების თავისებურებები) და თვითშეფასებაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამა წარმოდგენილია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების მიხედვით, რომელიც არ ისეთ ტერმინს, როგორიცაა „სპეციალობა“ და ითხოვს, რომ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები მოხსენებული იყოს ტერმინით *სავალდებულო* და *არჩევითი* კურსები. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაში გამოყენებული ტერმინოლოგია იყოს კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი მიმართულების თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამაში მითითებულ სწავლის შედეგებთან. შინაარსი პასუხობს აკადემიურ მოთხოვნებს, კრედიტების რაოდენობა შეესაბამება განსაზღვრულ მიზნებს და პროგრამის სწავლის შედეგებს. სისტემატიურად ხორციელდება სასწავლო კურსების ფარგლებში სწავლების ხარისხის შეფასება სტუდენტების მიერ, რაც საშუალებას იძლევა, საჭროების შემთხვევაში გატარდეს კურსების შინაარსის, მეთოდოლოგიური ნაწილის გასაუმჯობესებელი ზომები.

სასწავლო კურსების ფარგლებში განსაზღვრული წინაპირობები უმეტესწილად შეესაბამება მათ შინაარს. რამდენიმე შემთხვევაში (მაგ. „საერთაშორისო ეკონომიკის“ სასწავლო კურსი) აღინიშნა უზუსტობა (პროგრამის აღწერაში და სილაბუსში) „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“ განსაზღვრულია საგნის წინაპირობად. თუმცა, ლექტორმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ საგანს წინაპირობა არ აქვს. სასურველია, წინაპირობის შემთხვევაში, აღნიშნული კურსის წინაპირობა იყოს, მაგალითად, „ეკონომიკის საფუძვლები“, რაც შექმნის საბაზისო ეკონომიკის ცოდნას და გააადვილებს სტუდენტისათვის საერთაშორისო ეკონომიკის საკითხების შესწავლას.

ძირითადად, სასწავლო მასალა, წარმოდგენილი სილაბუსებში, სტუდენტს საშუალებას აძლევს, შეისწავლოს დარგისთვის აქტუალური საკითხები. სილაბუსში მითითებული მასალა დაფუძნებულია თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ლიტერატურის

განახლება ხდება სისტემატიურად სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. ამავდროულად, რამდენიმე სასწავლო კურსის შინაარსობრივი მხარე გადასახედია: 1) „პოლიტიკური თეორიების“ საგნის შინაარსი შეესაბამება „პოლიტიკური აზრის ისტორიის“ სასწავლო კურსის შინაარსს; 2) „საერთაშორისო ორგანიზაციები და ინსტიტუტების“ სასწავლო კურსის შინაარსი, სასურველია, გახდეს უფრო მრავალფეროვანი და მოიცვას რეგიონული ორგანიზაციებიც; 3) „საქმიანი კომუნიკაციის“, ძირითადი მიმართულების სავალდებულო სასწავლო კურსის ფარგლებში, აქცენტი არ კეთდება დარგობრივი ინგლისური ენის შესწავლაზე, რომელიც გამოუმუშავებს სტუდენტს დარგის ტერმინოლოგიის, საკვანძო კონცეპციების ცოდნასა და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს; 4) „რუსეთის საგარეო პოლიტიკის“ საერთაშორისო ურთიერთობის არჩევით სასწავლო კურსს სჯობს, დაემატოს აკადემიური მასალა თანამედროვე რუსეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების შესახებ. კურსში ძირითადი ფოკუსი კეთდება საბჭოთა წარსულზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამა; o საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; o სასწავლო კურსების სილაბუსები; o ინტერვიუები სტუდენტებთან, აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლებთან; o სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ ლექტორის შეფასების შედეგი.
რეკომენდაციები: ● შეიცვალოს არჩევითი სასწავლო კურსის „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები პოსტ-სოციალისტურ სამყაროში“ სათაური და დაერქვას „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები პოსტ-კომუნისტურ სამყაროში“; ამასთან აუცილებელია, გაიხედოს ქეისები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • დაემატოს სავალდებულო საგნად „ეკონომიკის საფუძვლები“, რომელიც გახდება „საერთაშორისო ეკონომიკის“ კურსის წინაპირობა. • გადაიხედოს „დიპლომატიის თეორიისა და პრატიკის“ სასწავლო კურსის შინაარსი; ან შეიცვალოს სახელწოდება და დაერქვას „დიპლომატიის ისტორია და ევოლუცია“; • დაზუსტდეს და გადაიხედოს „პოლიტიკური თეორიების“, „საქმიანი კომუნიკაციის“, „საერთაშორისო ორგანიზაციების და ინსტიტუტების“, „რუსეთის საგარეო პოლიტიკის“ სასწავლო კურსების შინაარსი;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): o ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o არ აღინიშნება
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტისათვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნისა მიცემისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. პროგრამის ფარგლებში, სათანადო ყურადღება ეთმობა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებს. სასურველია, აღნიშნული სასწავლო კურსების ფარგლებში, რომელსაც გააჩნია პრაქტიკული უნარების გამომუშავების სპეციფიკა (მაგ. „მოლაპარაკებების ხელოვნება“, „საქმიანი კომუნიკაცია“) გაძლიერდეს პრაქტიკული შეფასების კომპონენტები, როგორიცაა სიმულაციები, მოდელირება, ქეისების განხილვა/შედარება, დებატები, ოფიციალური დოკუმენტის განხილვა ან შედგენა და ა,შ..

აღსანიშნავია, რომ დარგობრივი მახასიათებლით ტრანსფერული უნარების მიღწევას ემსახურება პროგრამაში ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსები, როგორიცაა „კომუნიკაციის, პრეზენტაციის და დისკუსიის ტექნიკა“, „საოფისე კომპიუტერული პროგრამები “.

„სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდების“ საერთაშორისო ურთიერთობების სავალდებულო სასწავლო კურსი მოიცავს, არამხოლოდ საკვანძო ინფორმაციას თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების შესახებ, არამედ კონკრეტული მაგალითების შესახებაც მასალის უკეთ ათვისების მიზნით. აქცენტი კეთდება მცირე პრაქტიკაზე, რათა სტუდენტებმა შეძლონ მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება კვლევითის პროცესში. ეს მნიშვნელოვანი ფუნდამენტია საბაკალავრო ნაშორმის წერის დროს.

მისასალმებელია პროგრამაში რამდენიმე სასწავლო კურსის („საგარეო პოლიტიკის ანალიზი“, „საერთაშორისო ორგანიზაციები და ინსტიტუტები“) შეთავაზება ინგლისურ და ქართულ ენებზე. ინგლისურენოვანი კურსები გააღრმავებს სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის დონეს აღნიშნული სასწავლო კურსების მეშვეობით.

სასწავლო პროცესის შეფასების ანგარიშის მიხედვით, განსაკუთრებულად მაღალი შეფასება მიენიჭა სტუდენტთა ჩართულობას სამეცნიერო საქმიანობაში; მათ მონაწილეობას კონფერენციებსა და კვლევებში. ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შესაბამისად, ფაკულტეტი ხელს უწყობს სტუდენტების საგანმანათლებლო და პროფესიულ განვითარებას; ზრდის საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობებს მათთვის მობილობისა და გაცვლითი პროგრამების სახით.

ფაკულტეტს გაფორმებული აქვს ბევრი მემორანდუმი, როგორც ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, ასევე საქართველოში მოქმედ ორგანიზაციებთან.

არსებული მემორანდუმების უფრო ეფექტიანი გამოყენებისათვის, საჭიროა აღნიშნულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გააქტიურება კონკრეტულად საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში სტუდენტთა პრაქტიკული, ტრანსფერული და დარგობრივი უნარების განვითარება/გაძლიერების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სასწავლო პროცესის შეფასების ანგარიში (დანართი 1.3.); • მემორანდუმები; • საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა; • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუები სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან; • ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია.
რეკომენდაციები: o არ აღინიშნება
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o სასურველია გააქტიურდეს კონკრეტულად საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის სტუდენტების ჩართულობა იმ ორგანიზაციების საქმიანობაში, რომელთანაც უნივერსიტეტს დადებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები სტუდენტების პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარება/გაძლიერების მიზნით (ფაკულტეტი უფრო მჭიდროდ თანამშრომლობს პარტნიორებთან).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): o ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია; o პარტნიორული ქსელის გაფართოება.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში დაბალანსებულია თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები. პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტისათვის საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს შესახებ ფართო ცოდნის მინიჭებაზე; შესაბამისად, პროგრამის მიზანია, სტუდენტმა შეძლოს თეორიებისა თუ პრინციპების გააზრება და კომპლექსური საკითხების გაცნობიერება. სწორედ ამიტომ არის სასწავლო პროცესში ინკორპორირებული სხვადასხვა ფორმატის აქტივობები: პრეზენტაციები, დებატები, სემინარები, საჯარო ლექციები თუ მრგვალი მაგიდის ფორმატის დისკუსიები. ჩატარებული ინტერვიუების შედეგად, დადგინდა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი მონაწილეობს გასვლით ვიზიტებში ცალკეული სასწავლო კურსების ფარგლებში. უსდ-ს აქვს დარგის ექსპერტების მოწვევისა და საჯარო ლექციების ჩატარების პრაქტიკა. კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა ლექცია, პრაქტიკული დავალება, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვა. სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი (ტესტი, ღია კითხვები, ესსე, შემთხვევის გარჩევა და ა.შ) გამოკითხვა.

პროგრამაში შეტანილი ცვლილებების შედეგად, ერთი კრედიტი მოიცავს 25 საათს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისათვის. სემესტრის განმავლობაში არჩეული კრედიტების სტანდარტული მოცულობის შემთხვევაში, სემესტრული დატვირთვა უტოლდება 750 საათს 30 კრედიტის შემთხვევაში. მისასალმებელია სასწავლო კურსების საკონტაქტო საათების მოცულობის გაზრდა, რის შედეგადაც ყოველკვირეულმა დატვირთვამ 3 საათი შეადგინა.

პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუების შედეგად, დადასტურდა სასწავლო კურსების ფარგლებში აღწერილი სწავლება-სწავლის მეთოდების ეფექტიანი გამოყენება. სასწავლო პროცესის შეფასების ანგარიშის მიხედვით, ლექციის წარმართვის კომპონენტში განსაკუთრებით მაღალი შეფასება აქვს ისეთ კატეგორიებს, როგორებიცაა ლექტორის მიერ კონსულტაციების ჩატარება, ლექციის დროს დისკუსიაში ყველა სტუდენტის ჩართვა, ჯგუფური აქტივობის წარმართვა და სტუდენტის მხრიდან მოსაზრების გამოთქმის წახალისება. ლექციის ორგანიზაციულ მხარესთან დაკავშირებით, მაღალი მაჩვენებელი აქვს შემდეგ კომპონენტებს: ლექტორის მიერ წარმოდგენილი მასალის ორგანიზებულობა, ვიზუალური მასალის შესაბამისობა თემატიკასთან, ახსნილი საკითხების თანმიმდევრულობა სილაბუსით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. შედარებით ნაკლები შეფასება მიიღო ლექტორის მიერ შეფასების გაკეთების კომპონენტმა. მაღალი მაჩვენებლი აქვს ლექტორის მხრიდან შეფასების სისტემის მკაფიოდ ახსნას და სტუდენტის ობიექტურად შეფასებას. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ტექსტში შეფასების ფორმებისა და კომპონენტების ნაწილში გაწერილია შეფასების კონკრეტული კომპონენტები (ზეპირი გამოკითხვა, წერითი შეფასება, დავალება, ინდივიდუალური ესსე; შუალედური და ფინალური გამოცდები). ვფიქრობთ, რომ პროგრამის ტექსტში შეფასების კონკრეტული კრიტერიუმების მითითება, ამცირებს ლექტორის ავტონომიურობას, რომ კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენოს შეფასების განსხვავებული კომპონენტები. ამასთან, მნიშვნელოვანია შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი იყოს ზეპირი პრეზენტაცია (მაგ.PowerPoint-ის გამოყენებით) და ჯგუფური პროექტები, რაც სტუდენტს კიდევ უფრო განუვითარებს პრაქტიკულ და ტრანსფერულ უნარ-ჩვევებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა; o სასწავლო პროცესის შეფასების ანგარიში (დანართი 1.3.); o ინტერვიები პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; o თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები: o არ აღინიშნება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ● აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის დამატებითი ტრენინგები სწავლა-სწავლების მეთოდებში, რათა უზრუნველყოფილი იყოს ცალკეული სასწავლო კურსებს ფარგლებში გამოყენებული მეთოდების მრავალფეროვნება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): o არ აღინიშნება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o არ აღინიშნება
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტთა შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც შედგება შუალედური და ფინალური შეფასებებისგან. შუალედური შეფასება მოიცავს სხვადასხვაგვარ აქტივობებს, როგორიცაა სემინარები, პრეზენტაციები, ესეები, შუალედური წერითი გამოცდები და სხვ. სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების ფორმებისა და

კომპონენტების შესახებ დეტალური ინფორმაცია აღწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში. სტუდენტის შეფასების პროცედურები გამჭვირვალე და სამართლიანია ყველა სტუდენტისთვის. სტუდენტებს საშუალება აქვთ საგნების არჩევის დროს გაეცნონ სილაბუსების შინაარს, წინასწარ მოიპოვონ ინფორმაცია კონკრეტული საგნის კონტენტისა თუ შეფასების კრიტერიუმების შესახებ. დამატებით, სილაბუსების განხილვა ხდება თვითონ ლექტორების მიერ პირველსავე ლექციაზე. დადებითად უნდა აღინიშნოს პროგრამაზე დამკვიდრებული პრაქტიკა, რაც გულისხმობს შუალედური გამოცდის შედეგების განხილვასა და უკუკავშირს სტუდენტებთან. ზემოთ აღნიშნული პროცედურების დროს კონფიდენციალურობა დაცულია. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე სტუდენტები მიღებულ შეფასებებს არ ეთანხმებიან, მათ შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ აპელაციის მექანიზმი და გაასაჩივრონ რომელიმე კონკრეტული შეფასება. მიუხედავად ამისა, პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად, გამოიკვეთა ფაქტი, რომ უმეტესმა მათგანმა არ იცის პროცედურულად აპელაცია, როგორ უნდა განხორციელდეს. ლექციის გაცდენის შემთხვევაში, ლექტორები სტუდენტებთან შეთანხმებით, ნიშნავენ ლექციის აღდგენის დროს. გარდა ამისა, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, სასწავლო კურსის ფარგლებში აღადგინონ განსაზღვრული რაოდენობის გაცდენილი/გამოტოვებული აქტივობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ინტერვიუ სტუდენტებთან, პროგრამის ხელმძღვანელსა და აკადემიური პერსონალთან; o სასწვლო კურსების სილაბუსები; o საერთაშორისო უერთიერთობების პროგრამის დოკუმენტი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ● მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე ფაქტობრივად არ ყოფილა აპელაციის შემთხვევები, სასურველია, მოხდეს სტუდენტების ინფორმირება იმ უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ, რომლებიც მათ აქვთ, მაგ. აპელაციის პროცედურა. ● სტუდენტთა უნფორმირებულობის გაზრდას ხელს შეუწყობს აკადემიური წლის დასაწყისში საორიენტაციო კვირის ან დღეების ჩატარება, როცა მათ

გაცნობენ უნივერსიტეტს (ინფრასტრუქტურა); სწავლების მეთოდებს; მათ უფლება-მოვალეობებს და ა.შ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისმეთოდოლოგიადა ორგანიზება,		✔		

პროგრამისათვ ისებისშეფასებ ისადეკვატურ ობა				

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუებისა და სხვადასხვა დოკუმენტების გაცნობის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი გარემოება: სტუდენტები არიან ინფორმირებულნი პროგრამის განხორციელებისას მიმდინარე პროცესების შესახებ და მეტიც, ისინი ჩართულნი არიან პროგრამის განვითარებაში. ამაზე მოწმობს პროგრამის მესვეურთა მიერ ჩატარებული სხვადასხვა სახის კვლევები/გამოკითხვები, რაც მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის კიდევ უფრო გაუმჯობესებას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს დროს თვითშეფასების პროცესში მონაწილე სტუდენტი წარმოდგენილი არ იყო (კარგი იქნებოდა მასთან გასაუბრებაც). პროგრამაზე არსებობს სტუდენტთათვის შექმნილი კითხვარები, რომლებიც კონკრეტულ სასწავლო კურსებსა და ლექტორებს აფასებს. კითხვარის შედეგები ანონიმურია, ხოლო გამოკითხვის პროცესში მონაწილეობა ნებაყოფლობითი. ყველა ლექტორი ხელმისაწვდომია სტუდენტისათვის იმ შემთხვევაში, თუ გაჩნდება ლექტორთან კონსულტაციის აუცილებლობა. კონსულტაცია შესაძლებელია დისტანციურადაც. სტუდენტი სწრაფად და კვალიფიციურად იღებს მისთვის საჭირო ინფორმაციას, რაც ამარტივებს პრობლემის მოგვარების პროცესს. სტუდენტებთან ჩატარებული გასაუბრებისას და შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის შემდეგ ირკვევა, რომ კვირის განმავლობაში განსაზღვრულია თითოეული ლექტორის საკონსულტაციო საათი, როცა ისინი ხვდებიან სტუდენტებს და მზად არიან მათგან მოისმინონ დადებითი ან უარყოფითი ხედვები. საკონსულტაციო საათის შესახებ ინფორმაცია გაწერილია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში

და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. შესაბამისად, თითოეულმა სტუდენტმა იცის ნებისმიერი ლექტორის საკონსულტაციო დრო და კონსულტაციის ადგილი.

ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტთა ინტერესიდან გამომდინარე, მათი მოთხოვნა რომელიმე კონკრეტული ახალი სალექციო კურსის გახსნის შესახებ კმაყოფილდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი სტუდენტების მინიმალური რაოდენობა იქნება 10. მაშინ, როდესაც საშუალოდ ყოველწლიურად ჩარიცხული სტუდენტთა რაოდენობა 10-12-ია, ჯგუფის გახსნის პროცედურული მხარე მოითხოვს გადახედვასა და ცვლილებებს.

შექმნილია საუნივერსიტეტო ონლაინ-პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს წვდომა აქვთ სასწავლო მასალებზე; ამასთან აუცილებელია დაინერგოს და ხელმისაწვდომი გახდეს სტუდენტებისთვის ონლაინ-სასწავლო კურსების არჩევა და რეგისტრაცია ავტონომიურად. ეს სტუდენტებს საშუალებას მისცემს უნივერსიტეტში მიუსვლელად, მარტივად და კომფორტულად, დისტანციურად გაიარონ ზემოთ აღნიშნული სავალდებულო პროცედურები.

დადებით ფაქტად უნდა აღინიშნოს ის, რომ უნივერსიტეტს ძალიან ბევრ ევროპულ უნივერსიტეტთან აქვს გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს, როგორც ერასმუს+ და სხვა პროექტებს, ასევე ორმხრივ შეთანხმებაზე დაფუძნებულ გაცვლით პროგრამებს. სტუდენტთა შერჩევა გაცვლითი პროგრამებისთვის მიმდინარეობს გამჭირვალედ. შერჩევის პროცესში ყურადღება ექცევა, როგორც სტუდენტის მაღალ აკადემიურ მოსწრებას, ასე საუნივერსიტეტო თუ გარე აქტივობებს (კონფერენციები, პროექტები). ეს კი დამატებითი მამოტივირებელი ფაქტორია. დადებითია ასევე ის ფაქტიც, რომ უნიერსიტეტის მიერ ხდება სტუდენტების თანადაფინანსება და გარკვეული ხარჯების ანაზღაურება, როდესაც ისინი მონაწილეობას იღებენ გაცვლით პროგრამებში თუ საერთაშორისო ღონისძიებებში.

აღსანიშვნის ღირსია უნივერსიტეტში კარიერული წინსვლის სამსახურის არსებობა, რომელიც აქტიურად ზრუნავს სტუდენტის მომავალ დასაქმებაზე. მიმდინარეობს მუშაობა უკვე არსებულ და პოტენციურ დამსაქმებლებთან. ოფიციალური მეილებით ხდება სტუდენტების ინფორმირება მათთვის შესაძლო საინტერესო პროექტებსა თუ სტაჟირებებზე. დამსაქმებლებთან შეხვედრის შედეგად გაირკვა, რომ პროგრამის სტუდენტები ჩართულნი არიან სხვადასხვა ღონისძიებებში, რომლებსაც ატარებენ დამსაქმებლები. თუმცა, გამოიკვეთა შემდეგი გარემოება - არც ერთი აქტივობა, რომელშიც მონაწილეობდნენ სტუდენდები არ იყო პირდაპირ კავშირში პროფესიულ სტაჟირებას; მეტიც, ხშირ შემთხვევაში,

საერთაშორისო ურთიერთობის პროფილთან საერთოდ არ მოდიოდა თავსებადობაში. პროგრამას ამ ეტაპზე არ ჰყავს კურსდამთავრებულები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ინტერვიუები დეკანთან, თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ პერსონალთან სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან; o თვითშეფასების დოკუმენტი; o მემორანდუმები ევროპის უნივერსიტეტებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ● კარგი იქნება, თუ სტუდენტებისთვის კონკრეტული ახალი კურსის გახსნის პროცედურა გამარტივდება და მინიმალური რაოდენობის ზღვარი დაიწევს; ● ელექტრონული პლატფორმის გამოყენება გააქტიურდება დისტანციური რეგისტრაციისა და საგნების არჩევისას სტუდენტის სურვილის მიხედვით; ● ხელი შეეწყობა პროფილურ სტაჟირებებს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედია კრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
პროგრამა საბაკალავროა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო ურთიერთობის საბაკალავრო პროგრამაში ჩართულია 11 აფილირებული აკადემიური პერსონალი; აქედან პროფესორი 2; ასოცირებული პროფესორი 5; ასისტენტ-პროფესორი 1; აფილირებული ასისტენტი 3 და 4 ასისტენტი (სულ 15). დამატებით, პროგრამის სასწავლო პროცესში ჩაართულია 17 მოწვეული ლექტორი. თანაფარდობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის არის 15/17. თვითშეფასების დოკუმენტში გაპარულია უზუსტობა (15-ის ნაცვლად 16); სასურველია, მითითებული იყოს პერსონალის თანაფარდობები ჩარიცხულ სტუდენტებთან მიმართებაში. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა 52-ია.

პროგრამის კურსები მიყავს შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა განიცდის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების დოქტორების სიმწირეს. მართალია, უნივერსიტეტი ორიენტირებულია საკუთარი დოქტორების გაზრდაზე, რაც გრძელვადიანი პროცესია. ამიტომ დროებით, საჭროა, გარედან მოხდეს საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების დოქტორების მოზიდვა და ამით პროგრამის გაძლიერება. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ კურსები არათანაბრადაა გადანაწილებული ლექტორებზე (ზოგიერთი ლექტორი კითხულებს საერთაშორისო ურთიერთობის ბევრ კურსს). უკეთესი იქნება, თუ მოხდება კურსების ლექტორებზე განაწილების დაბალანსება.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი მოტივირებულია და ატარებს საერთაშორისო და ადგილობრივი კონფერენციებს; აკადემიური პერსონალი ჩართულია

საერთაშორისო პროექტებში; ადმინისტრაციული პერსონალი ეცნობა უცხოურ გამოცდილებას; ხდება პერსონალის მივლინება საზღვარგარეთ გამოცდილების გაზიარებისა და გამდიდრების მიზნით. აკადემიური და მოწვეული პერსონალი ატარებს კვლევებს და აქვეყნებს შედეგებს სტატიების სახით სამეცნიერო ჟურნალებში. ძირითადად, ეს ადგილობრივი ჟურნალებია. კარგი იქნება, თუ ლექტორები მეტ ძალისხმევას გამოიჩენენ საერთაშორისო Impact-ფაქტორიან ან peer-reviewed ჟურნალებში სტატების გამოქვეყნებისათვის. უნივერსიტეტი აქვეყნებს საკუთარ ჟურნალებს; მათ შორის აღსანიშნავია საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულების ინგლისურენოვანი Journal of Post Soviet Studies. თუ ჟურნალს ეყოლება უცხოელი peer-reviewers, მაშინ ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს ქართულ აკადემიურ სივრცეში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში; o საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის აღწერა; o სასწავლო კურსების სილაბუსები; o პერსონალის ჩამონათვალი საგნების მიხედვით; o დანართი - პერსონალი; o ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, ხარისხის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ლექტორებთან.
რეკომენდაციები: საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორების მოზიდვა
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ● კურსების ლექტორებზე დაბალანსებული გადანაწილება; ● სტატიების გამოქვეყნება საერთაშორისო აკადემიურ გამომცემლობებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): o საერთაშორისო და ადგილობრივი კონფერენციების ჩატარება;

o საკუთარი ჟურნალი (Journal of Post Soviet Studies).
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
o დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; o უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი უსდ-ში დანერგილია პროგრამის განხორციელებაში ჩართული, როგორც აფილირებული, ისე მოწვეული პერსონალის პერიოდული შეფასება. შეფასების მექანიზმი სამი ტიპისაა: აკადემიური და მოწვეული ლექტორების თვითშეფასება; სტუდენტების მიერ ლექტორების შეფასება და სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და ანალიზი. ლექტორების თვითშეფასებაში აისახება მათი აკადემიური დატვირთვა და კვლევები. ანგარიშს ეცნობა დეკანი და საქმის კურსში

აყენებს ხარისხის მართვის სამსახურს; ბოლო ეტაპზე, შედეგები განსახილველად წარედგინება აკადემიურ საბჭოს, რომელიც შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას პრობლემის გამოკვეთის შემთხვევაში. სასურველია, სტატისტიკურად დამუშავებული მონაცემების უფრო მკაფიო ვიზუალიზაცია, ეს უკეთ გამოკვეთს არსებულ სურათს.

უსდ ტრენინგების მეშვეობით (ძირითადად სწავლების მეთოდებში) უზრუნველჰყოფს პერსონალის სწავლების პროცესის გაუმჯობესებას და სტუდენტისათვის კომფორტული გარემოს შექმნას. დამატებით, აღსანიშნავია, საერთაშორისო თუ ადგილობრივი კონფერენციების ორგნიზების ხელშეწყობა, საკუთარი ჟურნალის გამოცემა, რაც ზრდის ლექტორთა კვლევით მოტივაციას. საერთაშორისო პარტიონთა ქსელის გამრავალფეროვნება და საზღვარგარეთიდან პროფესორების მოწვევა უცხოური გამოცდილების გაზიარებისა და შეძენის მიზნით, ადმინისტრაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ეფექტიან საქმიანობაზე მეტყველებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიხმები: გამოკითხვის შედეგები, ანგარიშები, შეფასების შედეგები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი;
- ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;
- მემორანდუმები;
- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, ხარისხის სამსახურთან, ლექტორებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პერსონალის თვითშეფასების ანგარიში;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი;

o ეფექტიანი ინტერნაციონალიზაცია
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. მართალია, ვიზიტი ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფი შეეცადა მაქსიმალურად შეეფასებინა მატერიალური რესურსი. მათ პროცესში აქტიური დახმარება გაუწიეს უნივერსიტეტის თანამშრომლებმა.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი უსდ ინფრასტრუქტურულად გამართულია. აუდიტორიები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით (კომპიუტერები, ლეპტოპები; პროექტორები); უნივერსიტეტი მულტიფუნქციურ პრინტერებთან ერთად ფლობს ბრაილის პრინტერს და სმარტ-ბორდს. საინფორაციო ტექნიკა აქტიურად გამოიყენება ლექციების მიმდინარეობისას. წესრიგშია საევაკუაციო სისტემა.

ბიბლიოთეკაში დაცულია საერთაშორისო ურთიერთობის პროგრამისათვის (თვითშეფასების ამ ნაწილში შეცდომითაა მითითებული პროგრამის სახელი, „ფსიქოლოგიის“ პროგრამა) აუცილებელი წიგნები, სახელმძღვანელოები ქართულ და უცხოურ ენებზე (ძირითადად ინგლისურენოვანი) და რიდერები, რომელიც შეიძლება, მოძიებული იქნას ონლაინ-კატალოგით. ბიბლიოთკა ფლობს ონლაინ-ბაზებს (EBSCO, HeinOnline, ELSEVIER, Scopus და სხვა). უსდ მთლიანად ინტერნეტიზირებულია, მათ შორის ბიბლიოთეკაც. ბიბლიოთეკა გამართულია ინფრასტრუქტურულადაც (მაგიდები, სკამები, კარადები, კომპიუტერი და ა.შ.) აკადემიური პერსონალისათვის გამოყოფილია სამუშაო სივრცე, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ნივთით თუ ტექნიკით. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ეფექტიანი წარმართვისათვის ფუნქციონირებს საუნივერსიტეტო ერთიანი ელექტრონული სისტემა, სადაც იტვირთება სასწავლო მასალები, სილაბუსები და შეფასებები. ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ ლექტორებიც და სტუდენტებიც უფრო მეტად იყენებენ სხვა ელექტრონულ საშუალებებს - ელ-ფოსტა, facebook-ის დახურული ჯგუფები. სასურველია, საუნივესიტეტო ელექტრონული პლატფორმა უფრო მეტად იყოს იმპლემენტირებული სასწავლო პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების დოკუმენტი; o ბიბლიოთეკის შემოწმება; o ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ლექტორებთან, სტუდენტებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის საუნივესიტეტო ელექტრონული პლატფორმის მეტი აქტივიზირება სასწავლო პროცესში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): o ზრუნვა სასწავლო გარემოს გაუმჯობესებაზე.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი. ბიუჯეტის შესახებ დოკუმენტში გაწერილია შემოსავლები და ბიუჯეტის გადანაწილება. დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის შემოსავალია სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასური, რომელიც ნაწილდება აკადემიური პერსონალის ანაზღაურებაზე, ბიბლიოთეკის აკადემიური ლიტერატურით მომარაგებაზე; გათვალისწინებულია საკონფერენციო, სასემინარო და მსგავსი ღონისძიებების ხარჯები; წარმომადგენლობითი ხარჯი, მივლინებები და გაუთვალისწინებელი ხარჯები. თვითშეფასების დოკუმენტში სტუდენტები რაოდენობის შედარება ბიუჯეტში აღრიცხული სტუდენტების რაოდენობასთან ბუნდოვანია. სასურველია, თვითშეფასების დოკუმენტში მკაფიოდ ჩანდეს რამდენი სტუდენტია პროგრამის კონკრეტულ კურსზე, რომ შედარება გაიოლდეს.

ამავდროულად, უსდ-ს ფინანსურ მდგრადობას უზრუნველყოფს ფაკულტეტის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო და სხვა საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები; ადგილობრივი და საერთაშორისო დონორისგან მოპოვებული მიზნობრივი გრანტები გამოყენებული ინფრასტრუქტურისა თუ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების დოკუმენტი; o ბიუჯეტის დოკუმენტი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, თვითშეფასების დოკუმენტში მკაფიოდ ჩანდეს კონკრეტულად რამდენი სტუდენტია კურსზე, რომ შედარება ბიუჯეტის დოკუმენტთან გაიოლდეს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	✔			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები მიმართულია სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო საქმიანობის გაუმჯობესებისაკენ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ეყრდნობა P(lan)D(o)C(hek)A(ct) (დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, იმოქმედე) პრინციპს. ხარისხის სამსახური სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრავს ჩასატარებელ სამუშაოებს და მათი განხორციელების თანმიმდევრობას; შეფასების კრიტერიუმებს, პროცედურებს და ინფორმაციის მიღება-გავრცელების პროცესს. ამავე სამსახურის მიერვე დაიგეგმა პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების მოსამზადებელი ჯგუფი, რომელიც შედგებოდა აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტებისაგან. განისაზღვრა შეფასების კომპონენტები და შემფასებლები. თუმცა, ვიზიტის დროს შესამჩნევი იყო, რომ შესრულებული სამუშაო არ იყო თანაბრად გადანაწილებული; კონკრეტულად, გამოჩნდა ჯგუფის გუნდურობის სისუსტე, ნათლად არ გამოიკვეთა პროგრამის ხელმძღვანელის პროცესში აქტიური მონაწილეობა და ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლების ეფექტიანი ჩართულობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების დოკუმენტი; o ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების აღმწერი დოკუმენტი; o ფაკულტეტის და აკადემიური საბჭოს ოქმები; o საერთაშორისო ურთიერთობის პროგრამა; o ინტერვიუები თვითშეფასების ჯგუფთან, ადმინისტრაციასთან, ხარისხის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის აკრედიტაციის (თვითშეფასების) ჯგუფის გუნდური მუშაობის გაძლიერება და სამუშაოს დაბალანსებული გადანაწილება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს გარე შეფასების მექანიზმია ავტორიზაცია, აკრედიტაცია და უცხოელი ექსპერტების შეფასება. საერთაშორისო ურთიერთობის საბაკალავრო პროგრამამ პირველად აკრედიტაცია მიიღო 2015 წელს. აკრედიტაციის დროს გაცემული რეკომენდაციები მიღებული იქნა მხედველობაში. დამსაქმებლებთან შეხვედრებით, შრომის ბაზრის ანალიზისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებით; საერთაშორისო პარტნიორების რაოდენობის ზრდით; ადგილობრივი და უცხოური გამოცდილების გაზიარების შედეგად, პროგრამამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები: მოხდა სპეციალობის კურსების გამრავალფეროვნება; აღმოიფხვრა სილაბუსებში საკითხების დუბლირება (თუმცა, შეინიშნა ერთი და იგივე

ლიტერატურის გამოყენება, სულ მცირე, ორ საგანში მაინც). პროგრამას დაემატა მეთოდოლოგიის, ინგლისურენოვანი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამავითარებელი კურსები.

გარე შემფასებლად (უცხოელი ექსპერტი) იმუშავა რომის წმინდა თომა აქვინელის პონტიფიკური უნივერსიტეტის პროფესორმა. მას გადაეგზავნა პროგრამა გასაანალიზირებლად და შესაფასებლად. მან შეისწავლა კურიკულუმი, სასწავლო კურსების ძირითადი მახასიათებლები და კურსის წინაპირობები. მისი აზრით, პროგრამა თანამედროვეა; ის მოიცავს, როგორც სავალდებულო საბაზისო, თეორიულ და მეთოდოლოგიურ კურსებს, ასევე თანამედროვე საერთაშორისო მოვლენებსა თუ გამოწვევებზე ორიენტირებულ საგნებს.

რამოდენიმე (ან კიდევ ერთი) უცხოელი ექსპერტის ჩართვა პროგრამის გარე შეფასების პროცესში (მითუმეტეს, როცა უნივერსიტეტს ჰყავს მრავალი უცხოელი პარტიორი) შეფასების დასკვნებს უფრო ვალიდურს გახდიდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამა;
- კურსის სილაბუსები;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთოვნების ანალიზის დოკუმენტი;
- ინტერვიუები თვითშეფასების ჯგუფთან, ადმინისტრაციასთან, ხარისხის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან ლექტორებთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მეტი უცხოელი ექპერტის ჩართვა პროგრმის გარე შეფასების პროცესში;
- საკითხავი მასალის დუბლირების აღმოფხვრა სხვადასხვა კურსში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს საერთაშორისო ურთიერთობის საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით სავალდებულო გახდა უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 25 ივნისის ბრძანებით. პერიოდული მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ერთხელ. შეფასების პროცესში წარმოდგენილია აკადემიური/მოწვეული პერსონალი, დამსაქმებელი, სტუდენტი და კურსდამთავრებული (სამომავლოდ). შეფასების შედეგებს ეცნობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ამზადებს ამ შედეგებზე დაყრდნობით პროგრამის შეფასების ანგარიშს. ანგარიში დარდება წინა წლის ანგარიშს, რათა

დადგინდეს, რა პრობლემა აღმიფხვრა და რაზე უნდა იმუშაოს პროგრამაზე პასუხიმგებელმა. შესაბამისად, იქმნება სამოქმედო გეგმა. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით ტარდება ინტერვიუები/გამკითხვები სამიზნე ჯგუფებთან. ინტერვიუს/გამოკითხვის შედეგები განიხილება საბჭოზე. ამავდროულად, ხდება პროგრამის შედარება ადგილობრივი და საერთაშორისო უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების დოკუმენტი; o ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; o სასწავლო პროცესის შეფასების ანგარიში; o ფაკულტეტისა და აკადემიური საბჭოს ოქმები; o ინტერვიუები თვითშეფასების ჯგუფთან, ადმინისტრაციასთან, ხარისხის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან ლექტორებთან, დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
საერთაშორისო ურთიერთობის საბაკალავრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 57

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✔		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✔			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის:

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნინო ფავლენიშვილი



<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის:</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა ივანნა მაჩიტიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა გია თოდუა